N 11
14.07.2026

11-27-4-202607141614

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

ბრძანება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებისა და დოკუმენტაციის განმხილველი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 26 მარტის N11 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცხადდეს აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებით წარმოჩენილი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის კონკურსი ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად.
2. სტიპენდიის მოპოვებისთვის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) პროფესორის 1 რეკომენდაცია;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი;
დ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ე) სიგელები;
ვ) სერტიფიკატები არსებობის შემთხვევაში;
ზ)ინფორმაცია საზოგადოებრივი აქტივობის შესახებ;

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტში განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2026 წლის 15 ივლისიდან – 22 ივლისის 17:00 საათის ჩათვლით თსუ პირველი კორპუსის 208-ე ოთახში.

4. სტიპენდიატის წარსადგენად დამტკიცდეს საბუთების განმხილველი

კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო ჩიქოვანი - პროფესორი
ბ) თეიმურაზ პაპასქირი - პროფესორი
გ) ნათია ფიფია - ასისტენტ პროფესორი
დ) მიხეილ ბახტაძე - ასოცირებული პროფესორი
ე) ქეთევან ხუციშვილი - პროფესორი
ვ) ნანა მაჭავარიანი - ასოცირებული პროფესორი
ზ) ეკატერინე ნავროზაშვილი - ასოცირებული პროფესორი

6. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

დარეჯან თვალთვაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი